



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27213501

თარიღი:16/12/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18**

**16 დეკემბერი 2021 წ.**

**ქ. თელავი**

**„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწესოს ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2021 წლის 22 დეკემბრამდე.
4. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2022 წლის 01 იანვრამდე.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

